

# სახსი

2024, აგვისტო

საბარბიტორის კათოლიკოსის მომსახურების ბიულეტენი  
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA



NB (344)



## აგვისტო

რედაქციის გვარდი ... 3-4

კათოლიკე ეკლესია

სოფლიოში..... 5-6

ჩვენი ეკლესია ..... 7-8

თეოლოგიური გვარდი ..... 9-10

ჩანართი:..... I-IV

სახარების სინარულის მოწმენი ..... 11-12

საბუნის ქრონიკები ..... 13-14

აღმთაღმთა თემა ..... 15-16

ისტორიის ფურცლები ..... 17-18

კათოლიკური კულინარია ..... 19

- 5** აგვისტო - წმ. მარიამის ბაბილიკის კურთხევა, უდის საკრებულოს დღეობა მთაში
- 6** აგვისტო - ფერიცვალება, დ. მარიეტ დეროშეს გახსენება (+ 2022)
- 9** აგვისტო - წმ. ტერეზა ბენედიქტა ჯვრისას, ევროპის მფარველის, დღესასწაული
- 10** აგვისტო - წმ. ლავრენტის დღესასწაული
- 15** აგვისტო - მარიამის ზეცად აღყვანების დიდდღესასწაული, საკათედრო ტაძრის საკრებულოს დღეობა თბილისში, ხელახლა კურთხევის 25-ე წელი; უდის დიდი ეკლესიის დღეობა
- 16** აგვისტო - საკათედრო ტაძრის კურთხევის დიდდღესასწაული (სხვა სამრევლოებში დღესასწაული)
- 22** აგვისტო - წმ. მარიამ დედუფლის ხსენება, ვარგავის ეკლესიის დღეობა
- 24** აგვისტო - წმ. ბართლომე მოციქულის დღესასწაული
- 24-31** აგვისტო - ოჯახების ბანაკი ქობულეთში
- 27** აგვისტო - დიაკონ თენგიზ პარმაქსიზიშვილის გახსენება (+2021)
- 30** აგვისტო - მ. ანდრია გოგილაშვილის გახსენება (+1937)





# „არც ლაქა, არც მანკი“...



რიაში რამდენი მაგალითია ეპისკოპოსთა, რომლებიც გასაოცარი გაბედულებით ემსახურებოდნენ მათზე მინდობილ ეკლესიას, არა მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ თავიანთი არაჩვეულებრივი არჩევანის გამო. ეპისკოპოსი, როგორც კეთილი სამარხიელი, კეთილი მწყემსი, კეთილგონიერი მზრუნველი, ზემოდან დამკვირვებელი (სწორედ ამას ნიშნავს ბერძნული სიტყვა episkopos).

ვინ იცის, რას ფიქრობდა იმ ხარაჩობზე, მზის ქვეშ მდგომარე, ვიდრე ტაძრის კედელს ღებავდა? რა თქმა უნდა, ლოცულობდა, ლოცულობდა ცოცხალი ხალხისგან შემდგარი ეკლესიისთვის, ამ ეკლესიის საჭიროებებისა და მისი მომავლისათვის... მაგრამ ასევე ფიქრობდა; ალბათ ფიქრობდა იმ ქადაგებაზე, 15 აგვისტოს რომ უნდა წარმოეთქვა, შემდგომ სამწყსო წერილზე, ეკლესიისაგან განდგომილ კათოლიკეებზე, იმ ადამიანებზე, ბოლოს რომ ჩააბარეს აღსარება, ბავშვებისა და ახალგაზრდების საზაფხულო აქტივობებზე, ოჯახებზე, თავის სამღვდლოებაზე, რელიგიურ საკრებულოებზე, სამღვდლო მონოდებებზე, რომლებიც აღარ ჩანს, სოხუმისა და ერევნის კათოლიკურ სამრევლოებზე, კარიტასსა და საბას უნივერსიტეტზე... ვინ იცის, იქნებ საქართველო-ესპანეთის ბოლო მატჩზეც ფიქრობდა... ასეთია ჩვენი ეპისკოპოსი და ასეთია ჩვენი ეკლესია, გამოსახული ამ ნაგებობაში, რომელიც მუდამ ლამაზი უნდა იყოს.

თავისი სამოცდამეათე დაბადების დღე, და არა მხოლოდ ეს დღე, ხარაჩობზე გაატარა, რათა მონაწილეობა მიეღო ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების ტაძრის სარემონტო სამუშაოებში, მისი კურთხევის 25 წლისთავთან დაკავშირებით... ეს ყველას როდი შეუძლია; დიახ, ჩვენს ეპისკოპოსზე ვსაუბრობ, მეუფე ჯუზეპეზე... ბევრმა მოინონა ფეისბუქზე გაზიარებული ეს სურათი, ზოგი ინტერესით კითხულობდა: ნუთუ აუცილებელი იყო? ამან კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა, რას ნიშნავს იყო ეპისკოპოსი, უნდა დაგფიქრდეთ ასევე იმაზეც, რას ნიშნავს იყო კათოლიკე ეკლესია: ეპისკოპოსი და მისი ეკლესია, თუ ეკლესია და მისი ეპისკოპოსი; 70 წელი და 25 წელი.

თავის ეკლესიასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ეპისკოპოსი, რომელიც ზერეღედ არ უყურებს მის საჭიროებებს, მზადაა მისთვის ხარაჩობეც კი ავიდეს, და ეს არ არის პირველი შემთხვევა... სიყვარულით, რუდუნებით იზრუნოს მასზე გაჩენილ დიდ თუ პატარა ბზარებზე! ეკლესიის ისტო-

ნმიდა პავლე ამბობდა: „არც ლაქა, არც მანკი, ან რაიმე მსგავსი, არამედ პირიქით, წმიდა და

**მამა გაბრიელე  
პრაბანტინი CSS  
მთავარი რედაქტორი**

სტიგმალი;  
ეპისკოპოსის ვიკარიუსი  
ეკუმენიზმისა და კულტურის  
დარბში; ქუთაისის,  
გათუმისა და ოზურგეთის  
საკრებულოთა წინამძღვარი





# რედაქტორის გვერდი

უბინო“ (ეფეს. 5, 27), რათა თავის ნეფეს მოსწონებოდა... მახსოვს, როდესაც 1994 წელს საქართველოში ჩამოვედით, ეს ეკლესია დაკეტილი იყო, მიტოვებული, ნახანძრალი... როგორც კი კათოლიკე მრევლს დაუბრუნდა: რამხელა შრომა, სიყვარული, ინტერესი, იმედი ჩაიდო მასში... შიგნიდან და გარედან აღსადგენად აწყობილი ხარაჩოები: მორყეული ხარაჩოები, არცთუ ისე უსაფრთხო, იმდენად, რომ მხატვრებმა, აფსიდი რომ უნდა მოეხატათ და საბოლოოდ დაესრულებინათ ღვთისმშობლის სახე, ძლიერ შეაშფოთეს ის ადამიანი, ვინც სულ რამდენიმე თვეში ეპისკოპოსი გახდებოდა... და დადგა ამ ეკლესიის საზეიმო კურთხევის დღე, ახალი ფურცელი იწერებოდა მის ისტორიაში და ქართული საზოგადოების ცხოვრებაში;



იგივე რომ მომხდარიყო, ანუ ქუთაისის, ბათუმის, უდეს, ივლიტას, გორის, ბუზმარეთის კათოლიკური ეკლესიების (რომლებიც ამჟამად მართლმადიდებელთა ხელშია) რესტიტუცია (აღდგენა), განა დღეს უფრო თვალსაჩინო არ იქნებოდა საქართველოში ყოფნა კათოლიკე თემისა, მისი წარსულის შესაბამისად, და თავად მთავრობაც და მართლმადიდებელი ეკლესიაც განა უფრო მშვიდი, უფრო სამართლიანი, უფრო შემწყნარებელი არ იქნებოდა, არა მხოლოდ სიტყვით? ჩვენ შეგვიძლია გარედან ვუყუროთ ამ ტაძარს, როგორც დედაქალაქის ცენტრალურ უბანში მდებარე ისტორიულ ძეგლს, მაგრამ მხოლოდ შიგნიდანაა შესაძლებელი მისი ისტორიის აღქმა; მხოლოდ ხალხით სავსე ტაძარში, როგორც ეს აღდგომისა და შობის დროსაა, შეიძლება სავსებით შევიცნოთ მისი მნიშვნელობა და მისი მოწოდება... ცარიელი ეკლესია მხოლოდ ლამაზ, ისტორიულ ძეგლად რჩება... მაგრამ მხოლოდ ძეგლად; სავსე ეკლესია კი ხდება ერი, მყოფობა, მოწოდება; ჩვენს ეკლესიას შეუსრულდა 25 წელი, ჩვენს ეპისკოპოსს კი - 70. მომავალ წელს აღინიშნება მისი ეპისკოპოსად კურთხევის (2025 წლის 6 იანვარი) 25 წლისთავი; ეს კიდევ ერთი ნიშანია, რომელიც ხაზს უსვამს, თუ რამდენად ძლიერია კავშირი ამ ნაგებობასა და ეპისკოპოსს შორის, მასში თავმოყრილ ხალხსა და მის მწყემსს შორის! ჩვენ, საქართველოში მცხოვრები კათოლიკეები (და არა მხოლოდ!) გულწრფელად ვისურვებთ, რომ ჩვენი მთავარი ტაძარი უფრო მეტად დამშვენებული, უფრო ცოცხალი იყოს, საუკუნეებს ითვლიდეს და არ იმჩნევდეს; ამისათვის კი გვჭირდება გარჯა, ერთობლივი პასუხისმგებლობა, სინოდალურობა, პერიფერიებში სიარული, როგორც ჩვენი პაპი იტყოდა, და არა მხოლოდ თვალის შევლება გამვლელი ტურისტებივით, ან მოუცლელი მოქალაქეებივით, ანდა გართობის მოყვარულებივით, მზად რომ არიან სხვათა განსასჯელად, არამედ, უწინარესად, უნდა ვიყოთ მორწმუნეები, ცოცხალი წევრები ქრისტეს სხეულისა, რომელიც არის ეკლესია; დიახ, რადგან ეკლესია ეკუთვნის არა მხოლოდ ეპისკოპოსს, წინამძღვარს, სამწყსო საბჭოს, არამედ ყველა მონათლულს, შესაბამისად იმ ნიჭისა, რისი მიძღვნაც თითოეულს შეუძლია საკუთარი კათოლიკური საკრებულოსთვის.



## „პირჭვრის ბადასახვა თამაშის წინ ცრურწმენის კი არა, რწმენის გამოვლინებაა“



ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, ლუის დე ლა ფუენტე კასტილიო არასდროს ერიდება თავის რწმენაზე საუბარს. El Mundo-ს კორესპონდენტთან საუბრისას მან აღნიშნა, რომ ღვთის რწმენის გარეშე „ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა. მე მწამს, რადგან ასე გადავწყვიტე. რელიგიური ოჯახიდან ვარ, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ეჭვი მტანჯავდა და რწმენას განვეერიდე. მაგრამ ცხოვრების გარკვეულ მომენტში ღმერთს დახმარება ვთხოვე და მის ნებას მივყენდე. რწმენისთვის ერთი კი არა, ათასი მიზეზი არსებობს. უღმერთოდ ცხოვრებაში არაფერს აქვს აზრი“. El Periodico-სთვის მიცემულ ინტერვიუში მან თქვა, რომ ყოველდღიურად ლოცულობს. ესპანეთის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის საინფორმაციო სააგენტო COPE-სთან საუბრისას მან განმარტა, რომ „ყოველი თამაშის წინ პირჯვრის გამოსახვა ცრურწმენა კი არ არის, არამედ რწმენის გამოვლინებაა“. ევრო-2024-ის ფინალური მატჩის დამდეგს გამართულ პრესკონფერენციაზე მან ასე უპასუხა BBC-ის ათეისტ ჟურნალისტს: „მე თავისუფალი ვარ და არჩევანის გაკეთება შემიძლია. არჩევანი კი, ჩემი აზრით, ინტელექტსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა კეთდებოდეს. ერთიც და მეორეც ღვთის რწმენას მიკარნახებს, რაც სიმტკიცესა და ძალას მაძლევს“.

## უკრაინის ბერძნული წესის კათოლიკეთა ლიდერი რუსეთის მორიბ თავდასხმას ბმობს

8 ივნისს რუსეთმა კიევეზე მორიგი სარაკეტო თავდასხმა განახორციელა. აფეთქებისას დაზარალდა ბავშვთა საავადმყოფო და ქალაქის ერთ-ერთი სამშობიარო სახლი. „შემზარავია, რომ ბავშვები, რომლებიც საავადმყოფოში თავიანთი სიცოცხლის გადასარჩენად მოვიდნენ, უმონყალოდ დახოცეს რუსმა ბოროტმოქმედებმა. თავდასხმის დროს ზოგიერთი ბავშვი ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატზე იყო შეერთებული, ზოგიერთ მათგანს ოპერაცია უტარდებოდა. მოვუნოდებ კეთილი ნების ყველა ადამიანს, დაგმონ ეს ბოროტმოქმედება და გააკეთონ ყველაფერი იმისთვის, რომ შეაჩერონ აგრესორი და პასუხი აგებინონ მას. დღეს ჩვენ ცრემლს ვღვრით მათთან ერთად, ვინც ამ თავდასხმისას დაზარალდა, ვლოცულობთ მოკლულებისთვის, განსაკუთრებით უმანკო ბავშვებისთვის. გვსურს ჩვენი ქრისტიანული სიყვარული მოვახვიოთ ყველა დაჭრილს, მათ, ვინც ყველაზე მეტად იტანჯება. მიინდა მადლობა გადავუხადო მედიცინის მუშაკებს. ახლა ისინი მაშველებისა და მოხალისეების გვერდით დგანან და ნანგრევებს შლიან იმ იმედით, რომ კიდევ უფრო მეტი ბავშვის გადარჩენას შეძლებენ“, - თქვა თავის ვიდეომიმართვაში სვიატოსლავ შევჩუკმა. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ოცი და დაშავდა სამოცზე მეტი ადამიანი.



## თავდასხმა დონალდ ტრამპზე



აშშ-ის კათოლიკე ღვთისმსახურებმა დაგმეს თავდასხმა, რომელიც განხორციელდა დონალდ ტრამპზე 13 ივნისს, პენსილვანიაში, მხარდამჭერებთან წინასაარჩევნო შეხვედრისას. ტრამპმა მსუბუქი დაზიანება მიიღო. სროლის შედეგად დაიღუპა მიტინგის ერთი მონაწილე. ორი ადამიანი მძიმედ დაშავდა. აშშ-ის ფედერალური ბიურის საგამოძიებო სამსახურის განცხადებით, მსროლელი განეიტრალებულია. „ვეგმოთ პოლიტიკურ ძალადობას და ვლოცულობთ პრეზიდენტ ტრამპისთვის, ამ თავდასხმის შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთათვის და მათი ოჯახებისთვის. ვლოცულობთ ჩვენი ქვეყნისთვის და პოლიტიკური ძალადობის შეწყვეტისთვის. ვთხოვთ კეთილი ნების ყველა ადამიანს, შემოგვიერთდნენ ჩვენი ქვეყნის მშვიდობისთვის ლოცვაში“, - აღნიშნა ქვეყნის ეპისკოპოსთა კონფერენციის პრეზიდენტმა, მთავარეპისკოპოსმა ტიმოთი ბროლიომ. წმიდა საყდრის პრეს-ცენტრის დირექტორმა, მატეო ბრუნომ Catholic News Agency-სთვის მიცემულ მოკლე ინტერვიუში აღნიშნა, რომ „წმიდა საყდარი გულისტკივილს გამოთქვამს გუმინ საღამოს განხორციელებული ძალადობრივი აქტის გამო და უერთდება აშშ-ის მღვდელმთავრებს ქვეყნისთვის, მსხვერპლთათვის და მშვიდობისთვის ლოცვაში“.

## ღვთისმსახურება აფეთქებების ხმის თანხლებით

ჰეზბოლა (ლიბანელ შიიტთა შეირალებული დაჯგუფება) აქტიურად უჭერს მხარს ჰამასს ისრაელთან ომში. ეს დიდი გამოცდაა ისრაელ-ლიბანის საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები მცირერიცხოვანი ქრისტიანი თემებისთვის. მამა როდი ნურა ისრაელის ქალაქ აკოში ცხოვრობს და ყოველდღე მოგ-

ზაურობს, რათა მონახულოს სხვადასხვა ქალაქში მიმოფანტული თავისი მრევლი. ყველანი (დაახლოებით, ოთხი ათასი ადამიანი), მათ შორის, მამა როდიც, ისრაელში გადმოსახლებული ლიბანელი ქრისტიანები არიან. „სახლიდან გამოსვლის წინ ღმერთს ვეუბნები: „მივდივარ, რათა შენი ნება აღვასრულო. დავბრუნდები თუ არა, შენზეა დამოკიდებული“. გადაადგილება თითქოს უსაფრთხოა. თუმცა აფეთქების ხმა ხშირად გაისმის“, - აღნიშნა მამა როდიმ Catholic News Agency-ს კორესპონდენტთან საუბრისას. მამა სანდი ჰაბიბი ისრაელის დაბაჯიშში მცხოვრები ლიბანელი ქრისტიანების მოძღვარია. „მსახურების ძალას რწმენა მადლევს. ჩვენ მშვიდობა, სამართლიანობა და სიყვარული გვჭირდება. ამის მოცემა კი მხოლოდ ქრისტე უფალს შეუძლია“, - აღნიშნა ღვთისმსახურმა. საზღვრის მეორე მხარეს, ლიბანში, ტვიროსის ფრანცისკელთა მონასტრის წინამძღვარი, მამა ტუფიკ ბუ მეჰრი ყოველ კვირადღეს დეირ მიმასში მიემგზავრება. აქ, წმიდა მარიამის ტაძარში, ახლომდებარე სოფლებისა და დაბების მკვიდრი კათოლიკეები იკრიბებიან. „მთელი ამ ხნის განმავლობაში უწირველად არც ერთი კვირადღე არ გაგვიტარებია“, - თქვა მამა ტუფიკმა.

## თავდასხმა ლაზარ წმიდა ოჭახის სამრევლოს სკოლაზე

თავდასხმა 7 ივლისს განხორციელდა. იმავე დღეს იერუსალიმის ლათინურმა საპარტიარქომ საგანგებო განცხადება გამოაქვეყნა. „იერუსალიმის ლათინური საპატრიარქო დიდი გულისტკივილით ადევნებს თვალს რეიდებს, რომლებსაც წმიდა ოჯახის სახელობის სკოლის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, ისრაელის ჯარი განახორციელებს. წმიდა ოჯახის სახელობის სკოლა იერუსალიმის ლათინური საპატრიარქოს საკუთრებას წარმოადგენს და ომის პირველივე დღიდან ასობით მშვიდობიანი მოქალაქისთვის თავშესაფრად იქცა. საპატრიარქო გმობს თავდასხმას მშვიდობიან მოსახლეობაზე. ჩვენ განუწყვეტლივ ვლოცულობთ და იმედი გვაქვს, რომ მხარეები უახლოეს დროში მიაღწევენ შეთანხმებას, რათა შეწყდეს ეს შემზარავი სისხლისღვრა“, - ნათქვამია განცხადებაში.






# მეოთხედი საუკუნე თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების ტაძრის განახლებიდან

მარიამის ეს ტაძარი კვლავ აღდგა, ვითარცა სიმბოლო საქართველოს განახლებული იმედისა.

პაპი იოანე-პავლე მეორე



დეს საკათედროს, ვინაიდან სამოციქულო ადმინისტრაციის ვითარებაში დე იურე საქართველოს კათოლიკეთა მრევლის უზენაესი სულიერი მწყემსმთავარი რომის პაპია და, შესაბამისად, საკათედრო ტაძრად წმ. პეტრეს ბაზილიკა გვევლინება, მაგრამ რეალურად მარიამის ტაძარი, სადაც მეოთხედი საუკუნეა წირავს სამოციქულო ადმინისტრატორი, მეუფე ჯუზეპე პაზოტო, თბილისისა და საქართველოს კათოლიკე მრევლისათვის, ასევე სხვა დანარჩენთათვის, აღიქმება როგორც საკათედრო, სამოციქულო ადმინისტრაციის ცენტრი, მით უმეტეს, რომ აქვე ფუნქციონირებს კურია და სამოციქულო ადმინისტრატორის რეზიდენცია. ასე რომ, მარიამის ზეცად აღყვანების ტაძარი დე ფაქტო სწორედაც რომ საკათედრო ტაძარია და იმ დატვირთვას ატარებს კათოლიკე მრევლში და, ზოგადად, რეგიონში, რა დატვირთვაც საკათედრო ტაძარს ეკისრება. მით უმეტეს, რომ არცთუ შორეულ მომავალში ადვილი შესაძლებელია კვლავ აღდგეს თბილისის კათოლიკური ეპარქია, როგორც მემკვიდრე მე-14 საუკუნეში არსებული სებასტოპოლისის (ცხუმი) და ტფილისის ეპარქიების სამართლებრივი მემკვიდრე.

## ცოტა რამ ტაძრის ისტორიიდან

თბილისის კათოლიკური საკათედრო ტაძარი არის ერთგვარი ხიდი საქართველოსა და ევროპას შორის, ამავდროულად, იგი, თავისი მართლაც გამორჩეული არქიტექტურისა და კიდევ უფრო გამორჩეული ისტორიის წყალობით, ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას, ძველი ქალაქის განუყოფელ ხუროთმოძღვრულ ძეგლს წარმოადგენს. უპირველესად იმიტომ, რომ თავისი ასაკით ის თბილისის ერთ-ერთი ძველი ნაგებობაა. 1795 წელს, სპარსელთა მიერ თბილისის აოხრების შემდგომ, ერთი ნაგებობაც არ დარჩენილა დაუზიანებელი და მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო ქალაქის აღდგენა. ანჩისხატს, სიონს და კიდევ რამდენიმე ტაძარს თუ არ ჩავთვლით, თბილისის ტაძრების დიდი უმეტესობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული. 1804-1808 წლებში აიგო და

## საკათედრო ტაძარი და მისი მნიშვნელობა

წელს უკვე ოცდამეხუთედ იზეიმა ხელახალი კურთხევა თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების ტაძარმა. ტაძარი წარმოადგენს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის კათოლიკეთა ცენტრს, სადაც სამხრეთ კავკასიაში სამოციქულო ადმინისტრატორის, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს რეზიდენცია მდებარეობს, მას უკვე 20 წელია მონივნებით მოიხსენიებენ როგორც საკათედრო ტაძარს. შეიძლება საეკლესიო კანონებით ის არ წარმოადგენ-

იკურთხა თბილისის მარიამის კათოლიკური ტაძარი. მის აგებაში პირადი წვლილი შეიტანა კავკასიის მთავარმართებელმა ციციანოვმა, ტაძრის მშენებლობის პროცესში ასევე ჩართული იყვნენ რომის პაპი, ავსტრიისა და რუსეთის იმპერატორები.

საკათედრო ტაძარი მრავალ ცნობილ ქართველ მამულიშვილთა ხსოვნასაც ინახავს. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ტაძარს არაერთხელ სტუმრობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, მისი კათოლიკე გიმნაზიელი მეგობრის, შემდგომში ცნობილი პუბლიცისტის, ლუკა ისარლიშვილის მოწვევით... სხვადასხვა დროს ტაძარში მსახურებდნენ იმ ეპოქის ცნობილი მღვდელმსახურები, მათ შორის, პატრი მიქაელ თამარაშვილი. ამ ტაძართანაა დაკავშირებული ზაქარია ფალიაშვილის მოღვაწეობაც. საკათედრო ტაძართან არსებულ ინტერკონფესიულ საკვირაო სკოლაში, სადაც დიდი კომპოზიტორი ასწავლიდა, გასული საუკუნის 20-30-იან წლებში, თბილისის სხვადასხვა უბნიდან თავმოყრილი მსმენელები საეკლესიო მუსიკას ეუფლებოდნენ.

კავკასიაში სამოციქულო ადმინისტრაციის სწორმა პოლიტიკამ და მონდობებამ, ასევე წმიდა საყდრის სადესპანოს თანადგომამ, ბოლოს სასურველი შედეგი გამოიღო და 1996 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რამდენიმე წლიანი შეყოვნების შემდგომ, თბილისის კათოლიკე მრევლს, სამართლებრივად კი კათოლიკე ეკლესიის ადმინისტრაციას, გადასცა 1937 წელს ძალადობრივად მიტაცებული საეკლესიო ნაგებობა, რომელიც თითქმის 60-წლიანი უმოქმედობის გამო საკმაოდ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა, სრულიად გაძარცვულ და იავარქმნილ ინტერიერზე რომ არაფერი ვთქვათ. ამ სამართლებრივი აქტიდან სამიოდე წელიწადში, მრავალ ასეულ სტუმართან ერთად, მოწმე შევიქენით ისტორიული აქტისა: არქივისკოპოსმა ჯოვანი ბატისტა რემ პაპის საღამოში გადმოსცა სრულიად საქართველოს კათოლიკე მრევლს და საზეიმოდ აკურთხა მარიამის ზეცად აღყვანების განახლებული ტაძარი, რომელიც მეოთხედი საუკუნეა ლათინური წესის კათოლიკეთა საკათედრო ტაძარია თბილისში, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში.

ტაძარში მრავალი ისტორიული ნივთი, სინმინდე, შემონიარულია თავმოყრილი. მკითხველის ყურადღებას მხოლოდ ერთზე, საეკლესიო ზარზე, შევაჩერებ. საკათედრო ტაძრისათვის ზარის შემონიარვის სურვილი 2010 წელს გამოთქვა პოლონეთის პრეზიდენტმა ლეჰ კაჩინსკიმ. შემდგომ უკვე მისმა თანამოაზრეებმა, რომლებიც კვლავ მოვიდნენ პოლონეთის რესპუბლიკის სათავეში, განახორციელეს მისი სურვილი და საკათედრო ტაძარს სამახსოვროდ გამოუგზავნეს საეკლესიო ზარი. ის

ჩამოასხეს პოლონეთის უძველეს სანარმოში, რომელიც 1808 წელს შეიქმნა, ანუ იმ წელს, როდესაც მარიამის ტაძარი ეკურთხა. ზარზე გამოსახულია პაპ ფრანცისკეს ვიზიტისათვის მომზადებული ჯვრის ესკიზი და 2016 წელს თბილისში აღვლენილ წირვაზე პაპის მიმართვა ქართველი კათოლიკეებისადმი: „გამხნევი... პატარა და საყვარელო სამწყსო“. ზარის მეორე მხარეს ამწვენებს პოლონურ ენაზე შესრულებული წარწერა: „პოლონეთის საჩუქარი ქართველ ხალხს“. ზარის წონა 200 კილოგრამია. 2019 წლის 15 აგვისტოს, საკათედრო ტაძარში მისი კურთხევიდან მე-20 წლისადმი მიძღვნილი საზეიმო წირვის შემდგომ, მეუფე ჯუზეპემ აკურთხა პოლონეთის პრეზიდენტის მიერ ნაჩუქარი ზარი.

## საკათედრო ტაძარი მუდმივ განახლებაში

საკათედრო ტაძრის გამწვენიერება მუდმივი პროცესია. გასულ წელს მეუფე ჯუზეპეს მონდობებითა და ძალისხმევით ტაძარში დამონტაჟდა მთელ კავკასიაში გამორჩეული საეკლესიო ორგანი და უკვე სისტემატურად ტარდება საორგანო მუსიკის საღამოები ცნობილი ქართველი ორგანისტების მონაწილეობით. მეუფე ჯუზეპე პაპოტომ, სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის შექმნის 30-ე წლისთავზე, ქართველ კათოლიკეებსა და, ზოგადად, კლასიკური მუსიკის მოყვარულებს, საოცარი საჩუქარი გაუკეთა. თავისი საჯარო წერილით, გასული წლის 9 დეკემბერს, ეპისკოპოსმა საკათედრო ტაძარში ახლად დამონტაჟებულ ორგანზე სასულიერო მუსიკალური ნაწარმოებების შესრულების მსურველ ორგანისტებს მიმართა:

**„ვისურვებდი, რომ ეს ორგანი სათანადოდ მოექცეს ყურადღების ცენტრში და იყოს დიდი საჩუქარი მთელი ქალაქისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ამ ინსტრუმენტის მუსიკა უყვარს... ამ ტაძარში წარსულში ორგანზე უკრავდა ზაქარია ფალიაშვილი. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ მუსიკა ყოველთვის არის გზა, რომელსაც მიყვართ მშვენიერებისა და ჰარმონიისაკენ, უსასრულობისაკენ და, შესაბამისად, ღმერთისკენ“.**

ამგვარად, ეპისკოპოსის სურვილით, საკათედრო ტაძარში საფუძველი ჩაეყარა ტრადიციას „შაბათი ორგანით“. მიმდინარე წელს ტაძარი მასპინძლობდა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალსაც, ასე რომ, კათოლიკურმა საკათედრო ტაძარმა, თავისი კურთხევის 25-ე წლისათვის თბილისის მუსიკალური კულტურის ცენტრის ფუნქციაც შეითავსა, რაც საქართველოში კათოლიკობის ცნობადობისა და პოპულარობის საუკეთესო საშუალებაა.



# ბიბლიური დღეები მამა პიერ დიუმულენთან ერთად


2024 წლის 27-30 ივნისს წეროვანში სულიერი შეხვედრების სახლი გამოჩენილ ბიბლისტს, პროფესორს, მამა პიერ დიუმულენს მასპინძლობდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ტარდებოდა შემეცნებითი და სულიერი სახის შეხვედრები სახელწოდებით: „ბიბლიური დღეები მამა პიერ დიუმულენთან ერთად, იოანეს სახარების ირგვლივ - II“.

შეხვედრებში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ კათოლიკე ეკლესიის მრევლი და ბიბლიური საკითხებით დაინტერესებული სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები, არამედ აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და აქტიური სტუდენტები სხვადასხვა ფაკულტეტიდან. მკაფიოდ განერილი დღის განრიგი მრავალფეროვანი იყო: წირვა-ლოცვა, ლექცია-სემინარები, ინტერაქციული დისკუსიები და ჯგუფური დავალებები, „დუმილის საათები“ სულიერი ვარჯიშებისთვის და დასკვნითი პრეზენტაციები. საინტერესო აქტივობებით დატვირთულ დღეებს სიხარულით ავსებდა არაერთი

სტუმრის ჩამოსვლა და მასპინძლობა, მათ შორის იყვნენ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორი, მამა აკაკი ჭელიძე, მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, მამა ზურაბ კაკაჩიშვილი და თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის მღვდელი, მამა მიხეილ სურმავა.

მთავარი თემა გახლდათ იოანეს სახარების მეორე ნაწილი, ე. წ. „ჟამის წიგნი“. სახარების პირველი ნაწილი, ე. წ. „ნიშანთა წიგნი“, განხილული იქნა გასული წლის შეხვედრების დროს. ყოველი ლექციის ბოლოს მამა პიერი გვაძლევდა დავალებას მედიტაციისთვის. თითოეული ჩვენგანის ნააზრვევი განიხილებოდა ჯგუფებში, ხოლო დღის ბოლოს ჯგუფის „სპიკერი“ წარადგენდა თემის განხილვის მოკლე პრეზენტაციას. პირველი დღის დავალება შეეხო ფერხობანას და სულიწმიდის-ნუგეშისმცემლის ხუთ ეპიზოდს. შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობამ ხაზი გაუსვა ფერხობანის ეპიზოდში ღმერთისა და ადამიანის ურთიერთმიმართებას. ღმერთი, რომელმაც თავი დაიმდაბლა, განკაცდა ცოდვილთათვის, გვაძლევს ღმერთში მყოფობის წილს საღვთო მადლის საშუალებით. იესო ფერხობანის ეპიზოდით მიანიშნებს ჟამის აღსრულების მოახლოებას, მის სიკვდილსა და აღდგომას. ფერხობანა, როგორც იესოს მიერ აღვლენილი მსახურება, აღქმულ იქნა როგორც მონაწილეობა, წილი ქრისტეს მიერ გაღებულ მსხვერპლში (ევქარისტია), აგრეთვე სიმდაბლისა და განბანვის მაგალითზე - სინანულის (აღსარების), და განბანვის (ნათლობის) საიდუმლოებათა დასაბამის მარცვლებად. ხაზი გაესვა ადამიანის მიერ ღმერთის ძღვენის მიმღებლობას, ქრისტესმიერ მაგალითს: ურთიერთმსახურებისა და სიყვარულის სრულყოფისათვის.

მეორე დღეს ლექციების თემა იყო იესოს სამი დიდი სიტყვა - სიყვარულის მცნება, ვაზი ჭეშმარიტი, სამ-



ღვდელმთავრო ლოცვა. დავალებად კი მოგვეცა იესოს გეთსიმანიის ბაღში შეპყრობის ეპიზოდი იოანესა და სინოპტიკურ სახარებებში და ე. წ. პილატეს სამსჯავრო. მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს იესოს მინიერი მისიის გზავნილი, როგორც მშვიდობის მეუფისა და ზეციური მეფობის მქონესი, რომელიც განკაცდა და მასში აღსრულდა ღმერთის აღთქმა. დღის ბოლოს მამა პიერმა ისაუბრა იესოს ჯვარცმის შესახებ.

მესამე დღეს, ბიბლიური შეხვედრების დასასრულს, სალექციო საათები მიეძღვნა იესოს აღდგომას. საუბრის დროს აქცენტი გაკეთდა საკვანძო ფიგურების, მარიამ მაგდალელისა და თომა მოციქულის პიროვნებებსა და მათ რწმენაზე. ლექციების მსვლელობისას მამა პიერს ჰქონდა ვიზუალური ჩართვებიც - საოცარი ტაძრები, ვიტრაჟები და ტილოები. მან, ასევე, წარმოადგინა მასალა „ტურინის სუდარასთან“ დაკავშირებულ დეტალებზე, ჯვარცმის არტეფაქტების შესახებ, რომლებიც ინახება მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებსა და ტაძრებში, ისაუბრა არტეფაქტების ის-

ტორიულ და საკრალურ როლზე და მათ მნიშვნელობაზე კულტურათა დიალოგში.

შეხვედრების კვირა დასრულდა წირვით, რომელიც ალავლინა მამა პიერ დიუმულენმა და სიმბოლური სადილით, სადაც ყველა მონაწილემ მამა პიერსა და ყველა ორგანიზატორს, ასევე ერთმანეთს მადლობა გადაუხადეს საინტერესო და ნაყოფიერი დღეებისათვის. მე, როგორც ბიბლიური შეხვედრების მონაწილემ, მსურს სხვა დანარჩენების სახელითაც დიდი სიხარულით გამოვხატო მადლიერება მამა პიერ დიუმულენის, მთავარი ორგანიზატორისა და თარჯიმნის, ქალბატონ ალექსანდრა მარგველაშვილის, მამა აკაკის, მამა ზურაბის, ასევე, წეროვანის სულიერი შეხვედრების სახლის მასპინძლების მიმართ.

ეს დღეები, საოცრად ბევრის მომცემი, დასამახსოვრებელი და თვითგამოხატვის შესაძლებლობით აღსავსე იყო ქრისტიანთა ერთობისათვის. დაე, ქრისტე გვაერთიანებდეს - „მშვიდობა თქვენდა ყველას, ვინც ქრისტეში ხართ. ამინ“ (1პეტრ. 5,14).





# სახარების სიხარული ზარების რეკვით



მალე თბილისის ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების ტაძარში, კურთხევიდან 25 წლისთავთან დაკავშირებით, პოლონეთის მიერ შემონიშნული ახალი ზარი განთავსდება, პრეზიდენტ ლეჰ კაჩინსკის (1949-2010) ხსოვნის პატივსაცემად. ამასთან დაკავშირებით, გთავაზობთ ზარის შესახებ მოკლე მიმოხილვას, რადგან მიმართა, რომ ზარი ასევე არის სახარების სიხარულის მაუწყებელი.

მსოფლიოს ქალაქებსა და სოფლებში სამოქალაქო კოშკები და ეკლესიის სამრეკლოები ადგილობრივი ისტორიისა და კულტურის მდუმარე მონმენი არიან. მათი მონუმენტური სახის მიღმა იმალება სასიცოცხლო ელემენტები: ზარები (და საათები). ეს ბრინჯაოს გიგანტები მხოლოდ მუსიკალური ინსტრუმენტები როდი არიან: ისინი ინახავენ ტრადიციის სუნთქვასა და რწმენის სულიერებას, რო-

გორც დრო-ჟამისა და საეკლესიო მსახურების მცველები, ერთ-ერთ ბგერას, ყველაზე მეტად რომ ვართ მიჩვეულები. მათი შექმნისა და ფუნქციონირების უკან ყოველთვის დგანან ხელოსნები, თავიანთი ოსტატობით, რომლებიც თავს არ ზოგავენ ხელოვნების დასახვენად და უძველესი და უნიკალური ხმოვანი მემკვიდრეობის დროში შესანარჩუნებლად, რომლის ფართო მასშტაბით გავრცელება VIII-IX საუკუნეებში დაიწყო.

ყოველდღე, ზუსტად დილის ექვს საათსა და საღამოს ცხრა საათზე, ისევე, როგორც მრავალ უძველეს ქრისტიანულ ქვეყანაში, თბილისის ქუჩებსაც ეფინება სამების დიდი ზარის ხმა; შესაძლოა, უგულისყუროდ ან ყურადღებით აღვიქვამთ მის ნელ და საზეიმო ხმიანობას. ლეონარდო და ვინჩი თავის ნაშრომში „ტრაქტატი ფერნერის შესახებ“ წერდა, რომ ზარების ხმაში

შეიძლება მოიძებნოს ყოველი სიტყვა, რომლის წარმოდგენაც შეგვიძლია. თითქოს ზარი სცნობდეს საკუთარ ხმას, როგორც ზარზე წარწერაშია ნათქვამი: „Laudo Deum verum, plebem voco, congreco clerum, defunctos ploro, pestem fugo, festa decoro“ (ვადიდებ ღმერთს, ვუხმობ ხალხს, მოვუწოდებ სამღვდელეობას, ვლოცულობ მიცვალებულთათვის, განვარიდებ ჭირს, ვალამაზებ დღესასწაულებს).

ასე იქცა ზარების ხმა აკუსტიკურ ფენომენად და ემოციების წყაროდ, რომლებიც ერთმანეთს მისდევენ, ერწყმიან ზეცას, სახურავებზე ქადაგებენ, დროს აღნიშნავენ, უწყებას უგზავნიან იმათ, ვინც ჯერ კიდევ ამჩნევს მათ და სურთ მათი ხმის მოსმენა. ყოველი ზარის მიღმა არის სახელი, ისტორია, შეუდარებელი ჟღერადობის ნაჭდევი ფსიქიკის ღრმა ნიალში. დიდი და ღია სივრცისთვის შექმ-





დალუპულთა საერთაშორისო ზარი  
როვერეტოში (იტალია)

ნილი მუსიკა შორ მანძილზე გზავნილების გადასაცემად წარმოიშვა, ძირითადად რელიგიური ხასიათის გზავნილის, არცთუ იშვიათად, სამოქალაქო გზავნილისაც; ყოველი მოვლენისთვის ზარი აჟღერებდა თავის სიტყვას, რომელსაც წარსული ყოველდღე აწვდიდა აწმყოს, აყალიბებდა ჟღერადობის ძლიერ ტრადიციას. ამჟამად არსებული აურზაური, რელიგიური გულგრილობა, ცხოვრების შეცვლილი წესები აკნინებს ზარების ჟღერადობას აზრსმოკლებულ ხმიანობამდე, ხოლო სამრეკლოს - აკუსტიკურ შუქურამდე, თითქმის სულ რომ ჩამქრალია. მართალია, დღეს ზარების ჟღერადობა ტრანსპორტის დაუნდობელ ხმაურსა და ორომტრიალშია ჩაძირული, მაინც ინარჩუნებს განსაცვიფრებელ სიდიადესა და ელევანტურობას და არემარეში ჰარმონიულ ხიბლს ავრცელებს.

ისტორიაში იყო ეპიზოდები, როდესაც ზარებმა დაკარგეს თავიანთი ფუნქცია: ისინი გაიტანეს ეკლესიებიდან და მონასტრებიდან სამხედრო მიზნებით, გავიხსენოთ მუსოლინის კანონი იტალიაში 1942 წელს, ან 1930 წლის კანონები, როდესაც ზარების რეკვა აკრძალული იყო მთელ საბჭოთა კავშირში. სამრეკლოდან ჩამოაგდეს კიდევ

ზარები. არად დაგიდევდნენ მის ისტორიულ-მხატვრულ ღირებულებას. ბევრი ზარი გადაადნეს და სამშენებლო თუ სხვა მიზნებისათვის გამოიყენეს. 1932 წელს მოსკოვში 100 ტონა ზარი გადაადნეს ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის ახალი შენობის გორელიეფების (მაღალი რელიეფების) გასაკეთებლად.

### დამუშავება

ზარი ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან (78% სპილენძია, 22% კალა, ვერცხლის მცირე შემცველობით), ფორმით ჰგავს თავდაყირა ვაზას, საყრდენად აქვს სახელურები. ზარის დამუშავების პირველ ეტაპზე იქმნება ყალიბი, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან: ბირთვი, ცრუ ზარი და გარე საფარი, ე.წ. მანტია (ან პერანგი). ბირთვი წარმოადგენს ზარის ფორმას და მის შესაქმნელად პირველად იგება აგურის კონსტრუქცია, რომლის ცენტრში იკიდება მბრუნავი ლერძი, რაზედაც ხის ზარის ფორმის შაბლონი თავსდება.

ცრუ ზარი შემდეგნაირად მი-

იღება: შაბლონი, რომელიც შიგნით ღრუა და აქვს ნახვრეტი ზედა ნაწილში, შემდგომ, გლუვი ზედაპირის მიღებამდე, იფარება სპეციალური თიხის ფენებით, რომელიც მდგრადია ლითონის კოროზიის მიმართ. თიხის სხვადასხვა ფენას აშრობენ ცხელი ნახშირით, რომელსაც აგურის ბირთვის შიგნით ათავსებენ, ფუძეში გაკეთებული სავენტილაციო ლიობებით. შაბლონის ამოღების შემდეგ მიიღება ცრუ ზარი, რომელიც ნამდვილი ზარის ზუსტი ასლია. მასზე იკვეთება გამოსახულებები და ფრიზები, რითაც უნდა გაფორმდეს ზარი. ცრუ ზარს უკეთდება სპეციალურად მომზადებული ცვილის ფრიზების აპლიკაცია და ასოები წარწერებისათვის.

მომზადების ბოლო ეტაპია ზარის მანტია, რომელიც მიიღება ცრუ ზარზე თიხის სხვა თანმიმდევრული ფენების გადაფარვით, რათა წარმოიქმნას გარე ფენა, რომელიც ბრინჯაოს ჩამოსხმამდე კარგად უნდა ხურავდეს ცრუ ზარს. შემდეგ ცეცხლს ანთებენ ბირთვის შიგნით, რათა ცრუ ზარზე მოთავსებული ცვილის ფენა დადნეს, შეინოვოს თიხამ და ნეგატივით ამოიკვეთოს წარწერები, ფრიზები და გამოსახულებები. მას შემდეგ, რაც მანტია

მონმარტრის წმიდა გულის  
ბაზილიკა პარიზში





მოიხსნება, ცრუ ზარი ნადგურდება, ვიდრე არ გამოჩნდება ბირთვი. ამდენად, მანტია მთელი სიზუსტით ერგება ბირთვს. სივრცე, რასაც მანამდე ცრუ ზარი იკავებდა, ცარიელი რჩება და ივსება გამდნარი ლითონით. ფორმას ჩაუშვებენ ორმოში და ფარავენ მინით. ბრინჯაო 1150°-ზე შედის ბირთვსა და მანტიას შორის ზემოდან დარჩენილ ნახვრეტებში. ამ დროს ყალიბს აცლიან, რომ ზარი ამოიღონ. ზარის ჩამოსხმის შემდეგ, შესაძლოა, საჭირო გახდეს ჟღერადობის დახვეწა, რადგან ის შეიძლება იყოს მკვეთრი ან მჭახე, ტონის მეოთხედამდე. ზარის ვიბრაციების რაოდენობა უკუკავშირშია დიამეტრთან: დიამეტრი იზრდება ზარის ტონის კლების პარალელურად. შიდა ნაწილიდან ბრინჯაოს ამოღებით, დიამეტრი იზრდება და ტონი ეცემა, ხოლო გარედან ბრინჯაოს ამოღებით დიამეტრი მცირდება, რაც იწვევს ტონის ზრდას. ტონის კორექტირების ფაზის დასრულების შემდეგ, ზარს გარედან აპრიანებენ.

ამდენად, ზარის ხმა დიდად არის დამოკიდებული სისქის კომპლექსურ ბალანსთან, რომელიც განსაზღვრავს ზარის თვისებას. სისქე, ფუნდამენტურ ნოტთან და

ნაწილობრივ ბგერებთან ერთად, ზარის ხმას წარმოქმნის. თითოეული ზარის ნოტი განისაზღვრება ხმოვანი ჭურჭლის მოცულობით: რაც უფრო დიდია ზარი, მით უფრო მძიმე იქნება ნოტი; რაც უფრო პატარაა ზარი, მით უფრო მჭახე იქნება ნოტი. სისქის, ნოტისა და ფორმის მიხედვით არსებობს სხვადასხვა ტიპის ზარი. ზოგადად, პროპორციულად, მძიმე ზარს უფრო თბილი და სასიამოვნო ხმა აქვს, ხოლო „მსუბუქი“ ზარი ზოგჯერ მჭახე და უსიამოვნოა ყურისთვის. კარგ ზარს შეუძლია ორმოცდაათამდე „ნახევარტონი“ გამოსცეს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და, უპირველესად, ყველაზე ცნობადი (ძირითადი ნოტის მიმართ) არის: „პირველი“, „მესამე“ (რომელიც შეიძლება იყოს მაჟორი ან მინორი), „მეხუთე“ (რომელიც შეიძლება შემცირდეს), „ზედა ოქტავის“ და „ქვედა ოქტავის“ ნახევარტონები.

ზარების ამ ვარიაციებით ბევრ ქვეყანაში იმართება ზარების კონცერტები. მას შემდეგ, რაც ამო-



მოსკოვის „მეფე-ზარი“

ქმედება, ზარებმა შეიძლება დარეკონ „ზედიზედ“ (შემთხვევითი რხევები) მარტივი რხევით მათი ღერძის მიმართ, ან „ჭიქისებრი“ ხმით. ზარის „ჭიქისებრი“ ხმის შეჩერება შესაძლებელია ბერკეტზე მოთავსებული პატარა სამაგრის მეშვეობით, რომელიც ზუსტად ეჯახება არბალეტს. როდესაც მიიღწევა მდგომარეობა, რომელსაც უწოდებენ „ჭიქისებრი“ ან „დგომის“ პოზიციას (ზარის პირი ზევით და საპირწონე ქვემოთ), მისგან გათავისუფლების შემდეგ ზარი გადაბრუნდება (ამ ეტაპზე დაახლოებით 360°-ით) და ყოველ ჯერზე, როცა ზარის ენა ერტყმება ერთ-ერთ კიდეზე, ზარი გამოსცემს ერთ ჟღერადობას.

**რამდენიმე დიდი და ცნობილი ზარი მსოფლიოში**

მსოფლიოში ყველაზე დიდი ზარი, რომელიც ღია სივრცეში ირეკება, არის დალუპულთა საერთაშორისო ზარი როვერეტოში (იტალია). იგი 1924 წელს ჩამოისხა პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნების ქვემეხების ბრინჯაოსაგან და სახელად ეწოდა „Maria Dolens“-ი. ზარი ყოველ საღამოს ასჯერ რეკავს ომში დალუპულთა პატივსაცემად და მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობისა და ძმობის მოსახმობად.



წმ. სტეფანეს ტაძარი ვენაში (ავსტრია)



# საგანგებო ჩანართი

ყველაზე დიდი ზარია მოსკოვის „მეფე-ზარი“, რაც კი ოდესმე აუგიათ. მისი სიმაღლე 747 მეტრია, ფუძის დიამეტრი - 682 მ, სისქე - 61 სმ, წონა - დაახლოებით, 198 ტონა. ზარი 1730 წელს რუსეთის იმპერატრიცა ანამ დაუკვეთა მოსკოველ ოსტატებს. საბოლოოდ დასრულდა მხოლოდ 106 წლის შემდეგ ფრანგი არქიტექტორის მიერ. ამ ზარის შექმნის პროცესს უამრავი პერიპეტია ახლდა თან. მას არასოდეს დაურეკავს. 1836 წლიდან იგი დაიდგა აგურის კვარცხლბეკზე, კრემლის მოედანზე, მოსკოვის საკათედრო ტაძრის გვერდით, იქვე განთავსებულია ფრაგმენტი, რომელიც 11 ტონას იწონის.

1790 წელს მინგუნში, ბირმაში, გიგანტური ზარი ჩამოასხეს უზარმაზარი პაგოდასთვის (Pagoda - ბუდისტური საკულტო ნაგებობის ტიპი). მისი მასა 90 ტონაა და ყველაზე დიდი ზარია მსოფლიოში ჯერ კიდევ მოქმედ ზარებს შორის. სიმაღლე დაახლოებით 4 მ-ია, ხოლო ფუძის დიამეტრი - 5 მ-ზე მეტი.

ჩინეთის ყველაზე დიდი ზარი პეკინშია. ის ჩამოსხმულია 1415 წელს იმპერატორ იონგ ლის დროს, მასა

46,5 ტ, სიმაღლე 6,75 მ, დიამეტრი 3,3 მ. ზარი მიძინარე ბუდას ტაძრის ცენტრში ჰკიდია და მის ზედაპირზე ამოტვიფრულია 230 000 სიმბოლო (16 წარწერა ჩინურ ენაზე და 100 სანსკრიტზე).

მონმარტრის წმიდა გულის ბაზილიკა პარიზის ერთ-ერთი სიმბოლოა. მონმარტრის ბორცვზე მდებარე ტაძარს სამი ქათქათა თეთრი გუმბათი ამშვენებს. მის სამრეკლოში არის ზარი „სავოიარდი“, რომლის წონა დაახლოებით 19000 კგ-ია. ზარი 1891 წელს ჩამოასხეს, მასზე ერთხელ შემოკვრის შემდეგ მთელი 9 წუთი ისმის მისი ჟღერადობა 40 კმ-მდე რადიუსზე. დღესდღეობით იგი ყველაზე დიდი ზარია საფრანგეთში.

ავსტრიაში, ვენაში არის წმიდა სტეფანეს ულამაზესი ტაძარი, რომელიც ცნობილია თავისი გოთური სტილით; მისი კოშკის სახურავზე ჰკიდია უზარმაზარი, 21-ტონიანი ზარი „პუმერინი“, რომელმაც 1951 წლიდან ჩაანაცვლა XVIII ს-ში თურქული ქვემეხების გადადნობის შედეგად მიღებული ზარი; ეს უკანასკნელი ომის დროს განადგურდა.

დიდ ბრიტანეთში, ლონდონში, ცნობილია ბიგ ბენის ზარი, რომელიც მისივე სახელობის ვესტმინსტერის სასახლის კოშკშია განთავსებულია. ზარი ჩამოსხა 1858 წელს, მასა იწონის 13760 კგ-ს, სიმაღლე - 7,6 ინჩი, ხოლო ფუძის დიამეტრია 9 ინჩი.

## ზარის კურთხევა

ძველი რომაული რიტუალის Pontificale Romanum მიხედვით, ზარების კურთხევის რიტუალი, რომელიც საკმაოდ რთული იყო, უნდა აღესრულებინა მხოლოდ ეპისკოპოსს ან მის წარმომადგენელს. რომაული წესის ლიტურგიული რეფორმის შემდეგ ზარების კურთხევა მნიშვნელოვნად გამარტივდა. რიტუალის წინათქმაში ვკითხულობთ: „უძველესი დროიდან მომდინარეობს განსაკუთრებული ნიშნების ან ჟღერადობის გამოყენება ლიტურგიულ მსახურებაზე ქრისტიანთა მოსახმობად, მათთვის ადგილობრივი თემის უმნიშვნელოვანე-

სი მოვლენების საუნწყებლად, დღის მანძილზე ლოცვისათვის მოსახმობად, კერძოდ, ღვთისმშობლისადმი სამგზის ლოცვისთვის. მაშასადამე, ზარების რეკვა, გარკვეულწილად, გამოხატავს ღვთის ხალხის გრძობებს, როდესაც ისინი ხარობენ და ტირიან, როდესაც მადლიერებას გამოხატავენ ან ლოცულობენ, და როდესაც ისინი იკრიბებიან იმავე ადგილას, ავლენენ თავიანთი ერთიანობის საიდუმლოებას ქრისტე უფალში“ (1455), და „იმ მჭიდრო ურთიერთობის გათვალისწინებით, რაც ზარებს აკავშირებს ქრისტიანთა ცხოვრებასთან, გავრცელდა ჩვეულება, რომელიც დღესაც სათანადოდ არის შენარჩუნებული: ზარების კურთხევა სამრეკლოს კოშკზე დაკიდებამდე (1456)“. ლამაზ ტექსტს გვთავაზობს ზარების კურთხევის ლოცვა:

„გაკურთხებთ, უფალო, მამაო წმიდაო, რომელმაც წარმოგზავნე ძე შენი წუთისოფელში ცოდვის გამო გაფანტული ადამიანების შესაკრებად და მისი სისხლის ფასად შეკრიბე ისინი ერთ ფარად, ერთი მწყემსის ქვეშ, რათა გამოკვებო და გაუძღვე მათ ცხოვრების საძოვრებზე. მოგვანიჭე, უფალო, რათა შენი მორწმუნენი საზეიმო ხალხით ემურებოდნენ ეკლესიაში ზარების რეკვისას; და მოციქულთა მოძღვრებაში გულმოდგინენი, ძმური ერთობით, პურის გატეხასა და ლოცვაში, ერთი გული და ერთი სული იყვნენ, ქებად შენი დიდებისა. ქრისტეს მიერ უფლისა ჩვენისა. ამენ“.

დაე, 2019 წელს ნაკურთხი ახალი ზარის მოხმობაზე „შენი ოჯახის წევრებმა გულები მოაქციონ შენკენ; თავიანთ ძმათა ლხინისა და ჭირის გაზიარებით, შენს სახლში შეიკრიბონ, რომ მასში ქრისტეს ყოფნა შეიგრძნონ, მისი სიტყვა შეისმინონ და შვილობრივი სულით მოგენდონ შენ სულიწმიდის წყალობაში“ (კურთხევის მეორე ფორმულა), ჩვენი კათოლიკური ეკლესიების: არალის, ვალეს, რაბათის, ბათუმის, ახალშენის, ოზურგეთის... და მართლმადიდებლური და პროტესტანტული ეკლესიების ზარებთან ერთად.



პოლონეთის პრეზიდენტ ლეჰ კაჩინსკის მიერ მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრისთვის შემონიშნული ზარი





## კარლოტა ნობილე

კარლოტა ნობილე (Carlotta nobile), მრავალმხრივი პიროვნება და თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მევიოლინე, დაიბადა 1988 წლის 20 დეკემბერს რომში. მისი მშობლები, ძმა მატეო და მასწავლებლები იხსენებენ, რომ ნიჭიერმა და ბეჯითმა გოგონამ ბავშვობიდანვე აირჩია მუსიკალური კარიერა. 17 წლის ასაკში დაამთავრა კონსერვატორია ვიოლინოს განხრით, გახდა მრავალი ეროვნული კონკურსის გამარჯვებული, რომში წარმატებით დაასრულა ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტი, მიიღო ხელოვნების მაგისტრის ხარისხი და სწავლა განაგრძო ნიუ-იორკსა და კემბრიჯში. იგი სანტა სოფიას აკადემიის კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო ქალაქ ბენევენტოში, ნეაპოლის მახლობლად. კარლოტა ოცნებობდა ოჯახის შექმნაზე, ამორჩეული ჰყავდა გულისსნორიც, ალესანდრო. მაგრამ 2011 წლის ოქტომბერში მის ცხოვრებაში მოულოდნელად დადგა განსაცდელი: მას მელანოზის დიაგნოზი დაუსვეს. ეს იყო კარლოტასათვის გამოცდის მომენტი. იგი, შინაგანად აფორიაქებული, კითხულობს: „რატომ მაინცდამაინც მე? რა დავაშავე ცხოვრებაში?“. კათოლიკური რწმენით აღზრდილ კარლოტას ყველაფერი გულთან ახლოს მიჰქონდა, რასაც მოწმობს მისი დღიურები, მაგრამ კარიერამ და პროფესიულმა ცხოვრებამ დაჩრდილა ღმერთთან ცოცხალი ურთიერთობა, ამიტომ იგი თავდაპირველად დავადებას უსამართლობად აღიქვამდა. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო რწმენის იმ გზისა, რომელიც გაიარა კარლოტამ, მან თანდათან შეიცნო ჯვარცმული ქრისტე და მასში აღმოაჩინა ძალის, ბედნიერებისა და მადლიერების წყარო. ძალიან მალე, როდესაც იგი დაფიქრდა ავადმყოფ ბავშვებზე, მათზე, ვინც მასზე მეტად იტანჯებოდა, დასვა კითხვა: „რატომ მე არა“.

მრავალი ქირურგიული ჩარევის შემდეგ, მან ისევ ისე თავდადებით განაგრძო მუსიკალური და არტისტული კარიერა, კონცერტებისა და საავადმყოფოებში მკურნალების მონაცვლეობით. გაზეთში La Stampa სანდრო კაპელეტო წერდა: „რაც უფრო რთული იყო მკურნალობა და დიაგნოზი კი უარესი, მით უფრო მეტად გამოხატავდა მისი მუსიკა შეურიგებლობას საკუთარ ბედთან და ოდნავადაც არ კარგავდა თავის ხარისხს“. კარლოტა მეგობარს სწერდა, რომ ახლა თავს უფრო ძლიერად გრძნობდა, ვიდრე ოდესმე. იგი არ საუბრობდა თავის რთულ მდგომარეობაზე, რადგან არ სურდა შესცოდებოდათ. 2012 წლის აპრილში მან გახსნა ანონიმური ბლოგი „Il Cancro E Poi“ („კიბო და შემდგომ“), რომლის მეშვეობითაც ათასობით ადამიანს, ვინც კი იტანჯებოდა ამ დაავადებით, ჩაუნერგა გამბედაობა და იმედი. „არც კი ვიცი, რამდენი სანტიმეტრის ქირურგიული ნაწიბურები მაქვს სხეულზე, მაგრამ მე მიყვარს ყველა, სათითაოდ, ყოველი სანტიმეტრი დაკერილი კანისა, რომელიც არასოდეს შეხორცდება!“ - წერდა იგი. ავადმყოფობის დროს, როდესაც პიანისტ მარტინ ბერკოფსკისთან (Martin Berkofsky) დუეტში უკრავდა, იგი შეუერთდა სოციალურ საზოგადოებას Donatori di Musica (მუსიკის დონორები), რომელიც აწყობდა მუსიკალურ კონცერტებს ონკოლოგიურ განყოფილებებში. მისი სოციალური ქველმოქმედების შესახებ დაინერა ამავე სახელწოდების წიგნი „მუსიკის დონორები“.

სიცოცხლის ბოლო თვეებში კარლოტამ გაიარა რწმენის დიდი გამოცდა, როდესაც 2013 წლის 4 მარტს, მილანში ყოფნისას, მოულოდნელად ჩავარდა კომაში და რამდენიმე დღით საავადმყოფოს საწოლს მიეჯახვა. კარლოტამ სიკვდილის წინ გაიხსენა თავისი ცხოვრების

ეს ეპიზოდი კიბოსადმი მიძღვნილ თავისივე ანონიმური ბლოგის უკანასკნელ ჩანაწერში: „ჩემი სული განიკურნა. ერთ წამში, ჩვეულებრივ დღეს, როცა გამეღვიძა კომის შემდეგ. თვალები გავახილე და მივხვდი, რომ თავიდან დავიბადე, და ეს არის სასწაული... სწეულება გაიძულეს დატკბე ყოველი წამით, ყოველი სურნელითა და არომატით, ყოველი აღქმით, ყოველი სიტყვით, ყოველი საქმით, უსასრულობის ყოველი მცირე ფრაგმენტით... და ხედები, რომ კიბოს, თავისი ტანჯვითა და სისასტიკით, აქვს ძალა, რომელიც ბოლოს ნათელს მოგიტანს“.

2013 წლის 24 მარტს, ბზობის კვირადღეს, პაპმა ახალგაზრდებს მოუწოდა: „თქვენ, ახალგაზრდებო, სიხარულით უნდა ატაროთ ჯვარი!“ პაპის ქადაგებით შთაგონებული კარლოტა, რამდენიმე დღის შემდეგ, დიდ პარასკევს, სადილობის დროს შესვენებისას, რომის ცენტრში ეძებდა ეკლესიას, რათა აღსარება ეთქვა, მაგრამ, ჩვეულებრივ, ამ დროს ტაძრები იკეტება. მხოლოდ ვია დელ კორსოზე იყო ღიად დარჩენილი ერთადერთი ეკლესია Sancti Iacobi in Augusta. აქ იგი შეხვდა სამრევლო მღვდელს, დონ ჯუზეპე ტრაპოლინის, რომელიც შემდეგ მისი სულიერი მოძღვარი გახდა. მათ შორის გაიმართა ამაღლებული საუბარი, კარლოტა „სიხარულისაგან ტიროდა“, როცა მოძღვარს უამბობდა თავის ამბავს, თუ როგორ ებრძოდა ავადმყოფობას და როგორ დაეუფლა სიმშვიდე პაპ ფრანცისკეს სიტყვების მოსმენის შემდეგ. მღვდელი გაცემული იყო საოცარი დამთხვევით: სწორედ წინააღმდეგობა პაპი შეხვდა მღვდლებს და სთხოვა მათ, რომ დიდ პარასკევს ეკლესიები მთელ დღეს ღია დაეტოვებინათ, რათა ყველას შეძლებოდა აღსარების თქმა. ახალგაზრდა ქალის მონ-

მეობით გაცემულმა დონ ტრაპოლინიმ გადამწყვიტა, პაპისთვის წერილობით ეამბნა კარლოტა ნობილეს ამბავი.

10 აპრილის დილით პონტიფექსმა დაურეკა დონ ჯუზეპეს და უთხრა, რომ კარლოტასთვის ილოცებდა, შემდეგ დასძინა: „ეს გოგონა გამბედაობას მაძლევს“. სწორედ ამ მომენტში, კარლოტას, რომელიც ჩასული იყო ქალაქ კარარაში როგორც მოხალისე მუსიკოსი, ცერებრალური შეტევა მოუვიდა და იგი გადაიყვანეს საავადმყოფოში. 2013 წლის 11 აპრილის დილას, პალატაში გაღვიძების შემდეგ, როდესაც გონს მოვიდა, მან აუწყა დედას, რომ იხილა სამება: მბრწყინავი სამკუთხედი პალატის კედელზე. კარლოტას ახლობლები ყვებოდნენ, რომ მას უკანასკნელ თვეებში, გარდაცვალებამდე, ბევრი ამგვარი ხილვა ჰქონდა.

კარლოტამ რომის პაპს პასუხად მისწერა წერილი, სადაც გამოთქვა მარადიული სიცოცხლისა და ღმერთთან შეხვედრის რწმენა: „ძვირფასო მამა ფრანცისკე, თქვენ შეცვალეთ ჩემი ცხოვრება. ჩემთვის დიდი პატივი და კურთხევაა, რომ შევძელი სიხარულით მეზიდა ჯვარი 24 წლის ასაკში. კიბომ დაასუსტა ყველა ჩემი შინაგანი ორგანო, მაგრამ განკურნა ჩემი სული, მომცა რწმენა, ნდობა და უსაზღვრო სიმშვიდე სწორედ იმ დროს, როდესაც სწეულებამ მეტად დამირია ხელი. მე მწამს უფლის და მუდამ ვგრძნობ, როგორ მიმიძღვის ჩემს ძნელად სავალ გზაზე. ძვირფასო მამაო, რაღაც მინდა გთხოვოთ... უზომოდ მსურს შეგხვდეთ, თუნდაც წამიერად, და თქვენთან ერთად ვილოცო „მამაო ჩვენო“! ჩემს ოცნებას მივანდობ დონ ჯუზეპეს და მწამს ღმერთის! ილოცეთ ჩემთვის, წმიდა მამაო, მე ყოველდღე ვლოცულობ თქვენთვის. კარლოტა“.

დონ ტრაპოლინის წყალობით, კარლოტა პირადად აპირებდა პაპთან შეხვედრას, მაგრამ 2013 წლის მაისში მისი მდგომარეობა გაუარესდა, იგი დაბრუნდა ბენევენტოში, თავის მშობლიურ სახლში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი თვეები გაატარა ოჯახთან და საყვარელ ალესანდროსთან ერთად, მხურვალე ლოცვაში, ღვთისადმი სრული მინდობით, თავდადებითა და მადლიერებით. მისი სიცოცხლის უკანასკნელ ღამეს, მამამისი გააღვიძა კარლოტას მშვიდად, ჩურჩულით წარმოთქმულმა სიტყვებმა: „უფალო, გმადლობ. უფალო, გმადლობ“. იგი უკანასკნელად დაემშვიდობა საყვარელ ადამიანებს: „ჩემი სამი შესანიშნავი მამაკაცი: მამა, ალესანდრო და მატეო. ჩემი ძვირფასი დედა. კიდევ რა მჭირდება? ბედმა გამიღიმა“.

ორწლიანი ბრძოლის შემდეგ, 2013 წლის 16 ივლისს, კარმელის მთის ღვთისმშობლის ხსენების დღეს, კარლოტა გარდაიცვალა 24 წლის ასაკში. ვიოლინოს ანგელოზის - როგორც მას მედიაში უწოდა - გარდაცვალების შესახებ გამოცხადდა ყველაზე ცნობილ გაზეთებსა და ეროვნულ სატელევიზიო არხებზე. 2018 წლის თებერვალში გამართულ ეპისკოპოსთა სინოდზე, რომელიც მიეძღვნა ახალგაზრდობის, რწმენისა და მონოდების შეცნობის საკითხს, კარლოტას სახელი შეტანილ იქნა „ახალგაზრდა მონამეთა“ სიაში.



საოჯახო სამლოცველო მუნიციპალურ სასაფლაოზე, სადაც განისვენებს კარლოტა ნობილე



# მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმი - „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“

25-26 ივნისს უკვე მეშვიდედ უმასპინძლა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმს - „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“. სიმპოზიუმი ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციასთან არსებული კულტურისა და საეკლესიო ერთიანობის კომისიის ინიციატივით დაარსდა 2017 წელს და, ტრადიციულად, ყოველი წლის ივნისში ტარდება. წლევანდელი სამეცნიერო ფორუმი საქართველოს ისტორიის გამორჩეული ფიგურის, ქრისტიანობისათვის წამებული კახეთის დედოფლის, ქეთევანის მარტვილობის მე-400 წელს მიეძღვნა. ასევე წელს, ნოემბერში, სრულდება ქეთევან დედოფლის დაბადებიდან 450 და ირანში სახელმწიფო მისიით ჩასვლის 390 წელი.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მიუხედავად ქეთევან დედოფლის დიდი ღვაწლისა ეროვნულ ისტორიაში, მისი საიუბილეო თარიღების აღნიშვნა ქვეყნის მასშტაბით რატომღაც ყველას „გამორჩა“ და ამ მხრივ გამონაკლისი აღმოჩნდა მხოლოდ საქართველოს კათოლიკე ეკლესია, რომელმაც უკვე მიმდინარე წლის იანვარში გამოაცხადა, რომ მეშვიდე სამეცნიერო სიმპოზიუმს ქეთევან დედოფლის მოწამეობის მე-400 წელს უძღვნიდა. ამ ინფორმაციას მხოლოდ „ქეთევან დედოფლის საზოგადოების“ ხელმძღვანელი, ისტორიკოსი თამარ ფარჩუკიძე გამოეხმაურა და გამოთქვა სურვილი, ორგანიზაციულად ეთანამშრომლა სიმპოზიუმის ორგანიზატორებთან. ჩვენც გულისხმიერად მოვეკიდეთ მის თხოვნას და აღვუთქვით ყოველნაირი თანადგომა მათ ღონისძიებებში. თუმცა, ხელისუფლების მხრიდან ინდიფერენტული დამოკიდებულების შედეგად, ჯერჯერობით ქეთევან დედოფლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა მხოლოდ სიმპოზიუმის „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა. ასე რომ, როგორც „კათოლიკური მემკვიდრეობის“ პირველმა სიმპოზიუმმა ქართულ საზოგადოებას ხელახლა აღმოაჩინა XIV საუკუნის მოწამე დემეტრე თბილელი, ანალოგიურად, მეშვიდე სიმპოზიუმი ქეთევან დედოფლისადმი პატივის მიგების ღამის ერთადერთ გამოხატულებად წარმოგვიდგა.

სიმპოზიუმის საზეიმო გახსნის შემდგომ, პირველ პანელზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მანანა ჯავახიშვილმა თავის მოხსენებაში ქეთევან დედოფლის პიროვნება მე-17 საუკუნის



საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ კონტექსტში წარმოგვიდგინა. პორტოს (პორტუგალია) უნივერსიტეტის პროფესორის სიდჰ პოსა მენდირატას მოხსენება ძველ გოაში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებსა და ქეთევან დედოფლის წმიდა რელიკვიებს შეეხებოდა. საზოგადოების დიდი დაინტერესება გამოიწვია თსუ-ს პროფესორ მურმან პაპაშვილის მოხსენებამ „ქეთევან დედოფალი და კათოლიკობა“ (პრობლემის ახლებური ნაკითხვა). მოხსენების ავტორმა ქეთევან დედოფლის კათოლიკობის შესახებ აქამდე მეცნიერებაში დამკვიდრებული ვერსიის სრულიად ახლებური ხედვა წარმოადგინა. თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ კი თავის მოხსენებაში ქეთევან დედოფლის წამების შესახებ ქართულ და უცხოურ წყაროებში არსებული ცნობილი და ნაკლებად ცნობილი დოკუმენტები მიმოიხილა.

სიმპოზიუმის მეორე და მესამე პანელი ასევე არანაკლებ საინტერესო და აქტუალურ მოხსენებებს დაეთმო. პროფესორ ნუგზარ ბარდაველიძის მოხსენება საქართველოში კათოლიკური ეპარქიების ისტორიასა და სამომავლოდ ლათინური წესის კათოლიკური ეპარქიის აღდგენის პერსპექტივებს ეძღვნებოდა. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორებმა გვანცა ღვინჯილიამ, მარიკა ნადარეიშვილმა და თამარ ჩხეიძემ თავიანთ მოხსენებებში სხვადასხვა კუთხით წარმოაჩინეს ზაქარია ფალიაშვილის კათოლიკური მესა. თსუ-ს პროფესორ ია ხუბაშვილის მოხსენება საქართველოში პირველი იეზუიტი მამის, ლუი გრანჟეს მიერ ორდენის გენერლისადმი გაგზავნილ მისიონერულ რელაციას მიეძღვნა.

# საბაუნის ქრონიკები

სიმპოზიუმის მეორე დღეს პირველი პანელი ქეთევან წამებულს მიეძღვნა, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორ **მერაბ ლალანიძის** მოხსენება სულხან-საბა ორბელიანის მიერ პოეტური ხედვით დანახულ წმიდა დედოფალ ქეთევანის წამებას ეხებოდა. უნივერსიტეტ „საბას“ პროფესორმა, **მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ** წმ. ქეთევანის რელიკვიების, როგორც ეკლესიათმორისი ურთიერთობების საშუალებაზე წარმოადგინა თავისი კვლევა. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მკვლევარმა მარიამ მარჯანიშვილმა გაუტყეველი რწმენის დედოფლის სულის სიძლიერეზე ისაუბრა, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **მარიეტა ჩიხლაძემ** გრასას მონასტერში დაცულ ქეთევან წამებულის იკონოგრაფიაზე გაამახვილა დამსწრეთა ყურადღება. ისტორიის დოქტორმა **თამარ ფარჩუკიძემ** კი კულტურათაშორის ურთიერთობებში ქეთევან დედოფლის ფენომენზე ისაუბრა.

სიმპოზიუმის ფარგლებში გაიმართა პროფესორ **ჟუჟუნა ფეიქრიშვილის** ახლად გამოცემული წიგნის „ქართველი კათოლიკე ექიმები“ წარდგენა. პრეზენტაციის დროს ავტორმა, წიგნის რედაქტორმა თინა კოკაჩაშვილმა და რეცენზენტმა ნუგზარ ბარდაველიძემ ისაუბრეს ქართველი კათოლიკეების ის-

ტორიულ ღვაწლზე ქვეყნის აღმშენებლობაში. ბოლოს აჩვენეს კათოლიკე ეკლესიის მედიაპორტალ Catholic ge-ს მიერ სტამბოლის ქართული საგანის შესახებ შექმნილი ფილმი. ასევე წარმოდგენილ იქნა თომა ლიპარტიანის დოკუმენტური ფილმი **„ქუთაისელი კათოლიკეები - უნინ და დღეს“**, რომელშიც მართლად და საკმაოდ მტკივნეულად არის წარმოჩენილი ქუთაისის კათოლიკეთა თანამედროვე პრობლემები.

საერთო ჯამში, მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმი „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“ საინტერესოდ ჩატარდა და გულგრილად არ დაუტოვებია დამსწრე საზოგადოება. ასე რომ, მომავალ წელს კვლავ ველით მორიგ სამეცნიერო ფორუმს, რომელიც საქართველოში მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი კათოლიკური მემკვიდრეობის კიდევ ახალ ნახნაგებს წარმოაჩენს.

ჩვენი ჟურნალის სახელით კი გვსურს, წარმატებები ვუსურვოთ სიმპოზიუმის ორგანიზატორებსა და იმ მეცნიერებს, რომლებიც დაულაღავად ეწევიან საქართველოში კათოლიკობის ისტორიისა და როლის კვლევასა და საზოგადოებისათვის წარდგენას. მადლობა თქვენ ამ შრომისათვის.

„საბას“ სპეციალური კორესპონდენტი





# იხედითა და გულისტკივილით



როდესაც გაცნობით ქალბატონ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის ახალ წიგნს „ქართველი კათოლიკე ექიმები“, ალბათ გაგიჩნდებათ ლოგიკური კითხვა: „თუ ასეთი მრავალრიცხოვანი კათოლიკე თემი ცხოვრობდა ქუთაისში (აღნიშნული წიგნის პირველი ნაწილი სწორედ ქუთაისელ კათოლიკეებს ეხება), სად არის მათი შთამომავლობა, რატომ არ დარჩა თუნდაც მცირე ნაწილი მაინც სახელოვანი წინაპრების აღმსარებლობაზე? არადა მეცხრამეტე საუკუნის ქუთაისში კათოლიკეები დიდი პატივითა და დაფასებით სარგებლობდნენ, რაზეც მეტყველებს თუნდაც აკაკი წერეთლის მოგონებების წიგნი „ჩემი თავგადასავალი“, სადაც ავტორი დედამისის ხასიათის დადებით მხარეებს კათოლიკური აღზრდის შედეგს მიაწერს.

დიახ, „ქართველი კათოლიკე ექიმების“ ტექსტების გაცნობა სრულიად სამართლიანად იწვევს ადგილობრივ კათოლიკეთა დიდ ნაწილში ერთგვარ გულდანწყვას. ამის შესახებ არაერთ ადამიანს შემოუჩივლია კიდეც. ვინაიდან ამ ცნობილი კათოლიკე ექიმების შთამომავლობიდან კათოლიკური აღმსარებლობის მიმდევარი არც არავინ შემორჩა, როგორც აღვნიშნეთ, ჩნდება ბუნებრივი კითხვა: რა გახდა ამის მიზეზი? ალბათ, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საბჭოთა რეჟიმის, ანტირელიგიური, განსაკუთრებით კი ანტიკათოლიკური პროპაგანდის გავლენა მთავარი მიზეზი, თუმცა არ შეიძლება ყველაფერი საბჭოურ რეჟიმს დავაბრალოთ! გარეშე ფაქტორებზე გადაბრალების გარდა, არსებობს სხვა ბევრად უფრო წონადი მიზეზებიც: ცხადია, საბჭოთა ეპოქაში სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მყოფი ადამიანები, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, საკუთარ რელიგიურ დამოკიდებულებას მალავდნენ. მაგრამ მათი კათოლიკური თემიდან ჩამოშორების უმ-

თავრესი მიზეზი მაინც ოჯახურ-საახლობლო გარემო გახდა.

სამხრეთ კავკასიაში, სადაც კათოლიკეები, როგორც ლათინური, ასევე სომხურ-კათოლიკური წესის მიმდევრები, კომპაქტურად სახლობდნენ, აკრძალვების მიუხედავად, კათოლიკურ ტრადიციებს სისტემატურად იცავდნენ; განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ სავარდის ლოცვების აღსრულებას ენიჭებოდა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ 50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არც მოქმედი კათოლიკური ტაძარი არსებობდა და არც მღვდელმსახური, კომპაქტურად მკვიდრმა კათოლიკეებმა უდიდეს წილად მაინც შეინარჩუნეს კონფესიური ერთობა. რაც შეეხება ქალაქებში მკვიდრ კათოლიკე ინტელეგენციას, ისინი კომპაქტურად არ ცხოვრობდნენ, ოჯახები შერეული კონფესიის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ისიც ფაქტია, რომ მოზარდებს ენასა და აღმსარებლობას, როგორც წესი, დედეები უნერგავენ. ასე რომ, შერეულ ოჯახებში, სადაც მოზარდების აღზრდა დედისა და ბებუის პრეროგატივაა, ასეთ ოჯახებში კონფესიურ თვითიდენტიფიკაციას ქალები განსაზღვრავდნენ. მეორე მხრივ, პროფესიულ საქმიანობაში სრულად ჩართული კათოლიკეები ვერც სავარდის ლოცვებისათვის იცლიდნენ, ვერც კათოლიკურ თემთან ერთობისათვის. არადა ნებისმიერი კონფესიის წარმომადგენლების თვითიდენტიფიკაციისათვის სწორედ რელიგიური საკრებულოს, სამრევლოს, თემის ცხოვრებაში ჩართულობაა უმთავრესი და განმსაზღვრელი ფაქტორი. მუდმივმოქმედი რელიგიური გაერთიანების, ჯგუფის გარეშე არ არსებობს კონფესიურობა. და დიდ ქალაქებში გაფანტულ, პროფესიულ საქმიანობაში ჩართულ ქართველ კათოლიკეებს, მით უმეტეს, შერეული

# საქსეპტორი თემა ნუგზარ გარდაველიძე

კონფესიური ოჯახებისა და არაკათოლიკური გარემოს პირობებში, ძნელი წარმოსადგენია, თავიანთი შთამომავლობა კათოლიკური ტრადიციების ერთგულებით რომ აღეზარდათ. ეს არც მათი მიზანი იყო და არც ამის საშუალება გააჩნდათ. ასე რომ, იმას ნუ მოვთხოვთ ადამიანებს, რისი შესრულებაც სხვადასხვა მიზეზის გამო მათ უბრალოდ არ ხელეწიფებდა...

ქალბატონ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის ნაშრომებს, ისტორიულ ფაქტთა კვლევისა და გასაჯაროების გარდა, გააჩნიათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვა, საზოგადოებრივი კონსოლიდაციის ფუნქცია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში კვლავ გამოიკვეთა მცდარი, ძველი ტენდენცია, მიჩქმალულიყო ცალკეულ პიროვნებათა კონფესიურობა, თუ ისინი არ წარმოადგენდნენ დომინანტი ეკლესიის წევრებს. საბჭოთა პერიოდში ამგვარი დამოკიდებულება გასაგები გახლდათ. მაშინაც კათოლიკე ეკლესია და კათოლიკური თემი, თავისი ღირსეული წარმომადგენლებით, საბჭოთა იდეოლოგიის მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა... ამ ახალი ნაშრომითაც ცდილობს ავტორი, გასაჯაროვდეს ის, რაც კომუნისტურ-ათეისტური რეჟიმის დროს მიჩქმალული გახლ-

დათ და მოიხსნას კათოლიკობაზე დღემდე ზოგადად არსებული ტაბუირებაც. განსაკუთრებით საამაყოა ისიც, რომ ქუთაისელი კათოლიკე ექიმების ოჯახებში აღზრდილმა შთამომავლობამ მედიცინის დარგშიც თავიანთი პიროვნული ღირსებით, ფართო განათლებითა და, ზოგადად, მეცნიერულ-პრაქტიკული მოღვაწეობით საქვეყნოდ წარმოაჩინა მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით გადმოცემული შრომისმოყვარეობა, ნიჭიერება და მისაბაძი კეთილშობილება/ქველმოქმედება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახელოვანი კათოლიკე წინაპრების, მათი ღანლისა და კეთილშობილების შესახებ გამოცემული ნიგნები, დღეს საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მამების დამსახურებაც და დიდი სიყვარული, რითაც ისინი გარემოცულნი არიან თანამედროვე საზოგადოებაში (თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მამები სწორედაც რომ ღირსეული გამგრძელებები არიან XVII-XIX საუკუნეებში ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე თეატინელი და კაპუცინი მამებისა), ასევე კათოლიკე თემის წარმომადგენელთა წარმატებები, გარკვეულ როლს შეასრულებენ კრიპტო-კათოლიკეთა შორის წინაპართა აღმსარებლობისადმი ინტერესის გაჩენაში.






# კათოლიკობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ ისტორიული ფაქტები იმ პერიოდის პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების მეშვეობით შემოგვრჩა, ამ მხრივ კი დიდი წვლილი მიუძღვის სოლომონ ასლანიშვილ-ბავრელს. სწორედ მისი, როგორც უშუალო თვითმხილველის, მასალების მიხედვით დღეს შეგვიძლია მეტ-ნაკლებად გავაცოცხლოთ საუკუნენახევრის წინანდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სურათი.

სოლომონ ასლანიშვილ-ბავრელი (1851-1924) გახლდათ ჯავახეთის მხარის სოფელ ბავრიდან, სადაც მისი წინაპრები არტაანის სოფელ ველიდან გამოსახლდნენ. 1595 წლის ოსმალური აღწერით, ველი



იყო ერთადერთი ქართული, კათოლიკური სოფელი, რომლის მოსახლეობამ კათოლიკური აღმსარებლობის წყალობით შეინარჩუნა ქართველობაც და ქრისტიანობაც. ამიტომ კათოლიკობა ქართველი მოსახლეობისათვის უფრო მისაღები აღმოჩნდა. თუმცა გადამწყვეტი როლი მაინც კათოლიკე მამების პიროვნულმა ღირსებებმა შეასრულა.

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ სოფელ ველის მოსახლეობის ნაწილი ჯავახეთის სოფლებში: ბავრაში, ხულგუმოში, კარტიკამში, ტურცხში გადმოსახლდა. მათ შორის იყვნენ სოლომონის წინაპრებიც. სოლომონმა განათლება მიიღო ახალციხის ქართულ კათოლიკურ სკოლაში, სადაც მისი პედაგოგი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე გვარამაძე. შემდგომ, ერთხანს, ამავე სკოლაში მასწავლებლობდა. 1878 წელს, როდესაც რუსეთ-თურქეთის ომი ჯერ დასრულებულიც არ იყო, სოლომონ ასლანიშვილი არტაანში, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ინყებს სამსახურს. ცოტა ხანში იგი არტანუჯის საფოსტო განყოფილებაში გადაიყვანეს. სოლომონ ასლანიშვილის უმთავრეს მიზანს ახლად შემოერთებულ, ისტორიულად ქართულ მიწებზე ადგილობრივი ქრისტიანი

და მუსლიმი ქართველებსათვის დახმარების აღმოჩენა წარმოადგენდა, რათა სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიაში იძულებით მცხოვრები თანამემამულენი უმტკივნეულად შეგუებოდნენ დედა-სამშობლოში დაბრუნებას. როდესაც, ორმოციოდე წლის შემდგომ, ეს მხარე, ბოლშევიკური რუსეთის ჩარევით, ისევ თურქეთის საზღვრებში აღმოჩნდა, ამ სამწუხარო მოვლენის მომსწრე მცოვანმა სოლომონმა უდიდესი იმედგაცრუება და ტკივილი გადაიტანა.

არტაანში მუშაობის დროს, სოლომონ ასლანიშვილი ბავრელის ფსევდონიმით ინყებს თანამშრომლობას ილია ჭავჭავაძის „ივერიასა“ და სერგეი მესხ-

ის „დროებაში“. 900-იანი წლებიდან იგი, ასევე, ქართულ კათოლიკურ ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“ აქვეყნებს სტატიებს. მის წერილებში შეუღამაზებლად აღიბეჭდა ის რეალური სურათი, რაც ისტორიულ ქართულ მიწაზე სუფევდა. გაბედული წერილებისა და პატრიოტული სულისკვეთების გამო ცარისტულმა ხელმძღვანელობამ იგი არტანუჯიდან მალევე დაითხოვა და ჯულფას ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში გაამწესა, რაც, ფაქტობრივ, გადასახლებას უდრიდა. პენსიაზე გასვლის შემდგომ, გასული საუკუნის 20-იან წლებში, სოლომონ ასლანიშვილი თბილისის ქართველ კათოლიკეთა აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გახლდათ.

ართვინის ოლქში, ისევე როგორც მთელ ამ მხარეში, მოსახლეობა საკმაოდ ჭრელი იყო: ქართველები, ლაზები, სომხები, ბერძნები, ჰემშილები, ქურთები და ეთნიკური თურქები; მოსახლეობის ქრისტიანულ ნაწილს ამ პერიოდისათვის შეადგენდნენ მართლმადიდებელი ბერძნები, სომხური ეკლესიის მრევლი და ლათინური და სომხური წესის კათოლიკეები, რომელთაც ფრანგებად მოიხსენიებდნენ. იმხანად, შავი ზღვის რეგიონის ზოგიერთ სანაპირო ქალაქში ადგილობრივი მო-

სახლეობის თითქმის 40% ქრისტიანი იყო (ბერძენი მართლმადიდებლები, სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლი და ფრანგები, ანუ კათოლიკეები). მოსახლეობას მშობლიური ენა კარგად ჰქონდა შენარჩუნებული, თვით გათურქებული ქართველებიც ოჯახში ქალებთან საუბრის დროს ქართულ ენას იყენებდნენ. აი, რას წერს სოლომონ ასლანიშვილი 1878 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ პირველ პუბლიკაციაში, რომელიც ქალაქ არტაანს ეხება: „მცხოვრებლების მომეტებული ნაწილი თათრები არიან და ართვინელი ფრანგები (იგულისხმებიან კათოლიკეები), რომლებიც ლაპარაკობენ სომხურს და ურევნენ ბევრ ქართულ სიტყვებს. თათრები ახალციხის საათაბაგოდან არიან გადმოსახლებულნი, მაგრამ ქართული ენა სრულებით დავინწყებული აქვთ“ („ივერია“ 1878, N27).

არტაანის მაზრის სოფელ ველის სიახლოვეს მიტოვებულ ძველი ციხის ტერიტორიაზე მდგარი ტაძრის დათვალიერებისას აღმოჩენილ, კედელზე ამოკვეთილ, ქართულ ენაზე შესრულებულ მრავალ წარწერათა შორის გვხვდება ამგვარი: „1784 პატრი ფოლიქარფი დავსწერე“; „1802 პატრი ბასილიოსი ყოფილა“ („დროება“ 1878, N212). მნიშვნელოვანია ქალაქ ართვინის ოსმალებისგან განთავისუფლების ეპიზოდი: სოლომონ ასლანიშვილისეული აღწერა: „როს ჩვენი ჯარი შევიდა ართვინში. ართვინში შესვლა იყო გულის შემადრწუნებელი ამაჩუყებელი სურათი... ზარბაზნის პირველმა ხმამ გვაცნობა, რომ ჯარის წასვლის დრო მოვიდა. ჯარი დაიძრა. ამოსული ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მისდევდა ჯარს. იკროდა მუზიკა. დებ-ხმლების ხმაურობა, ჩვენი ჯარისა და იმის უფროსების ტანისამოსის შეხედულება, ის საერთო სიხარული, რომელიც ეწერა ყველას სახეზე, ამშვენებდა სურათს. გავარდა ოცდაერთი ზარბაზანი, ირეკებოდა სომხის და ფრანგების საყდრებში ზარები“ („დროება“ 1878, N186).

სოლომონ ასლანიშვილი ერთ-ერთი პირველი ავტორია, რომელიც გვანვდის ცნობას ქალაქ ართვინის შესახებაც: „მცხოვრებთა რიცხვი ართვინში ავა ათასხუთასამდე. მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა არის ფრანგები, იმათზე ნაკლები თათრები და სომხები. ფრანგებს აქვთ ოთხი ეკლესია, ერთი იმათგანი არის საეპისკოპოსო. სომხებს ერთი ეკლესია აქვთ, თათრებს - ორი ჯამი. ფრანგების ერთ ეკლესიაში არის სასწავლომომქმედი ხატი, დარჩენილი ძველად ქართველებისაგან (იგულისხმება ქართული მართლმადიდებლური)“ („დროება“, 1879, , N17). მისი წერილებიდან ვიგებთ, რომ ართვინელი ქრისტიანები, მუსლიმებთან შედარებით, მეტ ყურადღებას უთმობდნენ მოზარდების

განათლებას და სასწავლებლებიც და სწავლების მეთოდებაც უკეთესად იყო ორგანიზებული, რომ ართვინის მაზრაში „ყველა კათოლიკე და გრიგორიანთა ეკლესიებთან არის გამართული სასწავლებლები“ („ივერია“, 1891, N75).

სოლომონ ასლანიშვილი თავის წერილებში არა მხოლოდ ოსმალეთიდან შემოერთებული ქართული მხარის ცოცხალ სურათს წარმოგვიდგენს, არამედ ანალიზებს იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ამ მხარის სწრაფი დაცლა, რაც რუსეთის ხელისუფლების გეგმის ნაწილიც იყო. უპირველესი გახლდათ რუს მოხელეთა მიერ ადგილობრივების შევიწროება და ჩაგვრა, რაც ვლინდებოდა ყოველდღიურ ურთერთობებში მექრთამეობის, ყაჩაღობის ზრდის და, რაც მთავარია, ოსმალეთთან ვაჭრობის ჩაკეცვით. ქალაქებში მკვიდრი კათოლიკეების დიდი ნაწილი სწორედ ხელოსნებისა და ვაჭართა კლასს მიეკუთვნებოდა, ოსმალეთთან ვაჭრობის ჩაკეცვამ და ხელისუფლებისაგან ხელშეწყობილი რუსული ნაწარმის შემოღინებამ მძიმე ეკონომიკურ კრიზისში ჩააგდო ადგილობრივი, ჩანასახში მყოფი ბურჟუაზია და დაიწყო მასობრივი გადასახლება ოსმალეთში: „გადამსახლებლების ქარავანი თანდათან მატულობს. თითქმის აჭარის, იმერხევის ნახევარი წავიდა, არდანუჯიც იცლება, არტაანი ხომ დიდი ხანია დაიცალა... თათრების გარდა, სომხებიც გადიან ართვინიდან და ფრანგებიც. ამათ სრული საფუძველი აქვთ გადასახლებისა. მაშ, რა ქნან, თუ ღმერთი გნამს?. თათრებიც წავლენ, სომხებიც, ფრანგებიც, სოფლები ვერანად რჩება და ადგილები. რამდენი გაჭირვებული ხალხია ჩვენში უადგილობის გამო და არავის კი აძლევენ. ცხრა მთას იქიდან მოჰყავთ ხალხი და აქ ჩვენ გაჭირვებულ ხალხს კი არ გვაძლევენ“ („დროება“, 1880, N 172).

სოლომონ ასლანიშვილი იმთავითვე სწორად ჩანვდა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას ახლად შემოერთებულ პროვინციებში. რუსეთის იმპერიის მიზანს ტაო-კლარჯეთის ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ამ ტერიტორიების ძირძველი მოსახლებისაგან, მათ შორის, კათოლიკეებისაგან დაცლა და მათ ადგილზე იმპერიისადმი ლოიალურად განწყობილი მოსახლეობის ჩასახლება წარმოადგენდა. ეს პროცესი დაიწყო კიდეც, თუმცა პირველი მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეულმა დიდმა კატაკლიზმებმა ყველაფერი შეცვალა და, სამწუხაროდ, ამ მხარეში, ქალაქ ტრაბზონის გარდა, დღეს მოქმედი კათოლიკური ტაძარი აღარსადაა.



# სამონასტრო ლუდი



შუა საუკუნეებში წარმოებული ლუდის მრავალფეროვანი პროდუქციიდან სწორედ სამონასტრო ლუდსახარშები გამოირჩეოდნენ შესამჩნევი ხარისხით. გარდა ამისა, ძველი პრინციპი *Liquida non fragunt lentum* (სითხე მარხვას არ არღვევს) სავსებით უწყობდა ხელს ნოყიერი სასმელის დამზადების მრავალგვარ ექსპერიმენტებს. ლუდი ბერების რაციონს უფრო სრულფასოვანს ხდიდა, განსაკუთრებით დიდმარხვის პერიოდში. გარდა ამისა, გაცილებით უსაფრთხო იყო ამ სასმელით წყურვილის მოკვლა, ვინაიდან იმ დროს წყალი არაერთხელ გახდა ინფექციების წარმოშობის წყარო. ლუდი, თერმული დამუშავების წყალობით, არა მხოლოდ თავისუფალი იყო დაავადების გამომწვევი ბაქტერიისაგან, არამედ შეიცავდა ყველა სახის ვიტამინს, რომლებიც ხელს უწყობდნენ დაავადებების კერძოდ კი სურავანდის, თავიდან აცილებას.

არსებობს ლეგენდა, თუ როგორ მიიღეს გერმანელმა ბერებმა პაპის კურთხევა მარხვის დროს ლუდის გამოყენების შესახებ. ტრადიციის მიხედვით, პონტიფექსი, როგორც ეროვნებით იტალიელი, უპირატესობას ანიჭებდა ღვინოს, ლუდზე კი ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. იმისათვის რომ პაპს ლუდი გაეჩინჯა, ბერებმა რომში გაგზავნეს თავიანთი წარმოების სასმელით სავსე რამდენიმე კასრი. ზუსტად არ არის ცნობილი, რა მოხდა გზად, მაგრამ ლუდი გაფუჭდა. როდესაც პონტიფექსმა დააგემოვნა გერმანელი ბერების სამარხვო სასმელი, პირისახე დემანჭა და წარმოთქვა: „თუ მათ სურთ ასეთი საზიზღრობის დაღვევა, დაე, დალიონ“. სამონასტრო ლუდსახარშები ღვთისმოსაობით შეუდგნენ პაპის განაჩენის აღსრულებას.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ პირველად სწორედ კათოლიკე ბერებმა დაიწყეს სვიის რეგულარულად გამოყენება ლუდის ხარშვისას. ამის წყა-

ლობით სასმელის შენახვის ვადა გაიზარდა. ამრიგად, შესაძლებელი იყო არა მხოლოდ სასმელის დამზადება საკუთარი საჭიროებისათვის, არამედ მისი მეზობელ რეგიონებში გაგზავნაც.

სხვათა შორის, ბელგიელ ლუდის მხდელებს საკუთარი ზეციური მფარველიც კი ჰყავთ - წმიდა არნოლდი, რომელიც მე-11 საუკუნეში ცხოვრობდა საფრანგეთში. მან დააარსა მონასტერი ქალაქ ოდენსეში, რომელიც დღეს ბელგიაში მდებარეობს. 1086 წელს, შავი ჭირის ეპიდემიის დროს, წმიდა არნოლდის მონასტრის ბერებმა დაინახეს, რომ ხალხი სვამდა წყალს მდინარიდან, რომელიც დაბინძურებული იყო ინფექციის წყაროთი. ბერებმა დაიწყეს ლუდის წარმოება, რომლის მოხმარებაც უფრო უსაფრთხო იყო, რადგან დუღილის პროცესში ბაქტერიები ნადგურდებოდნენ. ბერები მოუწოდებდნენ ადამიანებს, დაეღიათ ლუდი წყლის ნაცვლად, რათა არ დაავადებულიყვნენ.

წმიდა არნოლდი ასევე მიიჩნევდა, რომ ლუდს სამკურნალო თვისებები ჰქონდა და ხელს უწყობდა დაავადებისაგან განკურნებას. იგი ამტკიცებდა, რომ ლუდი შეიცავდა ვიტამინებსა და მინერალებს, რომლებსაც შეეძლოთ იმუნური სისტემის გაძლიერება და ავადმყოფის გამოჯანმრთელება. „ლუდი ღვთის საჩუქარია“, - იმეორებდა ხშირად წმიდა არნოლდი. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ეპიდემიის დროს წმიდა ბერი არ ელოდებოდა, როდის დაავადდებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი სასმელი წყლით, არამედ მათ აიძულებდა დაეღიათ მისი მონასტრის ლუდი. ამის წყალობით მის ეკლესიაში ბევრი ადამიანი გადაურჩა ჭირს.

ყოველწლიურად, 14 აგვისტოს, წმიდა არნოლდის ლიტურგიული მოხსენიების დღეს, მის საფლავთან თავს იყრიან ლუდის მხდელნი, ხოლო ლუდსახარშებში ხშირად ნახავთ ამ ეპისკოპოსის გამოსახულებებს.




1999-15/VIII-2024

თბილისის ყოვლადწმიდა ქალწული  
მარიამის ზეცად აღყვანების  
კათოლიკური საკათედრო ტაძრის  
ხელახლა კურთხევის 25-ე წლისთავი



The 25th anniversary of the rededication of the Assumption  
of the Blessed Virgin Mary Catholic Cathedral of Tbilisi



შპს "საბა" რედაქციის მ. გაბრიელე ბრანტონი CSS

სტრუქტურული კოლმბო: ნუგზარ პარდაველიძე, ვერიკო ნიშაძე, შორენა პარტნიშვილი, შურაბ ლღანიძე, ციცილო ხიზორიძე

ფინანსური მხარდაჭერა: მღვდ. მიხეილ ხერხეია, თამარ სტეფანაძე

მისამართი: ვერნაძე „საბა“ რედაქცია, ვაჟა-ფშაველას ქ. №4ა, თბილისი, საქართველო;

E-mail: [saba.jumali@gmail.com](mailto:saba.jumali@gmail.com); ტელეფონი №1853, ფაქსი №1853, მანანა ანდრიასის მოედ. 1995 წელს, © „საბა“

ISSN 2720-8001